პრეზიდენტ
თომას ს. მონსონის მიერ



იდექით, როგორც ნათელი

მე მქონდა უპირატესობა, დავსწრებოდი ტაძრის მიძღვნასთან დაკავშირებულ მრავალ კულტურულ ღონისძიებას. ყველა მომეწონა, ბოლოს ჩათვლით, რომელსაც დავესწარი გასულ ნოემბერს ფენიქსში, არიზონა, აშშ.

უკანასკნელ დღეთა წმინდანები, რომლებიც მონაწილეობენ კულტურულ ღონისძიებებში, აკეთებენ საოცარ, დაუვიწყარ პროგრამებს. შარშან, ფენიქსში, ზეიმის დაწყებამდე, მე ვუთხარი მონაწილეებს: "თქვენ სინათლის შვილები ხართ".

მინდა, განურჩევლად, ეკლესიის ყველა ახალგაზრდამ, იცოდეს, რომ ისინი სინათლის შვილები არიან. და ამიტომაც, მათ აკისრიათ ვალდებულება – იყვნენ "მნათობნი სამყაროში" (ფილიპელთა 2:15). მათ აკისრიათ სახარების გაზიარების ვალდებულება. მათ აქვთ მოწოდება - იდგნენ, როგორც ტაძრის შუქურები და ანათებდნენ სახარების სინათლეს მეტად და მეტად ბნელ სამყაროში. მათი დავალებაა – შეინარჩუნონ მათი ნათელის სიკაშკაშე.

იმისთვის, რომ გავხდეთ "მორწმუნეთათვის მაგალითი"(1 ტიმოთე 4:12), თავად ჩვენ უნდა გვწამდეს. ჩვენ უნდა განვავითაროთ სულიერი გადარჩენისა და სხვებისთვის სინათლის გაზიარებისთვის საჭირო რწმენა. ჩვენ უნდა ვკვებოთ მოწმობა იქამდე, სანამ იგი ჩვენი ცხოვრების ღუზად არ გადაიქცევა.

ამჟამად რწმენის შეძენის და შენარჩუნების ყველაზე ეფექტური ხერხებს შორის არის წმინდა წერილების წაკითხვა, შესწავლა და ხშირი და თანმიმდევრული ლოცვა. ეკლესიის ახალგაზრდებს ვეუბნები: თუ აქამდე ასე არ იქცეოდით, ახლა განავითარეთ წმინდა წერილის ყოველდღიური შესწავლისა და ლოცვის ჩვევა. ამ ორი აუცილებელი მოქმედების გარეშე, გარე სამყაროს გავლენას, ზოგჯერ კი ცხოვრების უხეშ რეალობას შეუძლია გაამკრთალოს ან საერთოდ ჩააქროს თქვენი ნათელი.

მოზარდობის წლები ადვილი როდია. ეს არის ის წლები, როცა სატანა გაცდუნებთ და ყველანაირად ცდილობს, მოგხიბლოთ და გადაგიყვანოთ იმ გზიდან, რომელსაც მიყავხართ უკან, ზეციურ სახლში. მაგრამ თუ კითხულობთ, ლოცულობთ, მსახურობთ და მორჩილნი ხართ, თქვენ უკეთ შეიცნობთ სიბნელეში მოკაშკაშე შუქს (მოძღვრება და აღთქმები 6:21), ჩვენს მაგალითსა და ძალას, თავად უფალ იესო ქრისტეს. იგი არის სინათლე, რომელიც უნდა ზე ავწიოთ სიბნელის გასაფანტად (იხ. 3 ნეფი 18:24).

მხსნელისა და მისი აღდგენილი სახარების ძლიერი დამოწმებით თქვენ გეძლევათ ნათების უსაზღვრო საშუალებები. ეს საშუალებები ყოველდღე თქვენს ირგვლივ არის, მიუხედავად იმისა, რა პირობებში იმყოფებით. როცა მხსნელის მაგალითს მიყვებით, თქვენ გექნებათ შესაძლებლობა, იყოთ

სინათლე თქვენს ირგვლივ მყოფი ადამიანების ცხოვრებაში, არიან ისინი თქვენი ოჯახის წევრები, კლასელები, თანამშრომლები, ნაცნობები თუ საერთოდ უცნობი ადამიანები.

როცა ხართ სოფლის ნათელი, თქვენს ირგვლივ მყოფნი იგრძნობენ განსაკუთრებულ სულს, რაც მათ თქვენთან ურთიერთობისა და თქვენი მიბაძვის სურვილს გაუჩენს.

მე ვევედრები მშობლებს და თქვენი ახალგაზრდობის ხელმძღვანელებს, დაეხმარონ მათ, მტკიცედ იდგნენ ჭეშმარიტებასა და სიმართალში. დაეხმარეთ მათ, ფართოდ გახსნან სწავლის, წვდომისა და ღვთის სასუფეველში მსახურების კარი. განამტკიცეთ მათში მიწიერ ცდუნებებზე უარის თქმისთვის საჭირო ძალა. გაუჩინეთ მათ სურვილი, იარონ რწმენაში, სიკეთეში, ილოცონ და უყურონ ზეცას, როგორც თავიანთ მუდმივ ღუზას.

მე ვეუბნები ჩვენს ახალგაზრდებს: მამაზეციერს უყვარხართ. დაე, თქვენ ასევე იგრძნოთ ის სიყვარული, რომელიც ეკლესიის ხელმძღვანელებს აქვთ თქვენს მიმართ. დაე, გქონდეთ სურვილი, ემსახუროთ მამაზეციერს და მის ძეს. დაე, ყოველთვის იაროთ ჭეშმარიტებაში და იყოთ ნათელი ღვთის შვილებს შორის.

ამ მოწოდების სწავლება

განიხილეთ მათთან, ვისაც ასწავლით, რას ნიშნავს იყო "ნათელის [შვილი]". რა ვალდებულებას იწვევს ეს? თქვენ შეგიძლიათ განიხილოთ ის მომენტები, როცა მათი ნათელი განსაკუთრებით კაშკაშა იყო და ის, რამაც განაპირობა ეს სიკაშკაშე. სთხოვეთ მათ, გაიხსენონ რომელიმე განასაკუთრებული პიროვნება – რომელიმე ახალგაზრდა, თანამშრომელი ან ოჯახის წევრი, რომელსაც ესაჭიროება ნათელი. შემდეგ, შეგიძლიათ ერთად ილოცოთ იმაზე, თუ როგორ გაუზიაროთ ამ პიროვნებას ნათელი.

ახალგაზრდები

სინათლის შუქურა

ვრეზიდენტი მონსონი გვასწავლის, რომ ეკლესიის ახალგაზრდებს "აქვთ მოწოდება, იდგნენ, როგორც ტაძრის შუქურები და ავრცელებდნენ სახარების ნათელს სამყაროში". იგი გვიჩვენებს ამის განსახორციელებლად რამდენიმე გზას:

გაუზიარეთ სხვებს სახარება
გწამდეთ
განავითარეთ რწმენა
იყავით სხვებისთვის ნათელი
კვებეთ თქვენი მოწმობა იქამდე, სანამ იგი თქვენი ცხოვრების ღუზად არ გადაიქცევა.
იკითხეთ და შეისწავლეთ წმინდა წერილი
ხშირად და თანმიმდევრულად ილოცეთ
იმსახურეთ
იყავით მორჩილნი

შეაფასეთ თქვენი საქციელი ამ სფეროებში 1-5 ქულით. იმ სფეროებთან დაკავშირებით, სადაც დაბალი ქულები გაქვთ, შეგიძლიათ შეისწავლოთ ეს თემები წმინდა წერილიდან ან მოძებნოთ ისინი LDS.org-ზე. მას შემდეგ, რაც შეისწავლით ამ თემებს, შეგიძლიათ იფიქროთ იმაზე, როგორ განამტკიცოთ ეს სფეროები და დასახოთ საამისოდ მიზნები.

ბავშვები

ანათეთ თქვენი ნათელით

რადგან თქვენ ღვთის შვილი ხართ, თქვენ ნათლის შვილი ხართ. თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ მეტი ნათელი იმით, რომ მიყვეთ ჩვენს მხსნელს, იესო ქრისტეს. იესო ქრისტეს და მამაზეციერს უყვარხართ და სურთ, გაუნათოთ გზა სხვებს და მოიყვანოთ ისინი ქრისტესთან. თქვენ შეგიძლიათ ანათებდეთ უბრალოდ იმით, რომ იყოთ ის, რაც ხართ, როცა მიჰყვებით მცნებებს, როგორიცაა ლოცვა და წმინდა წერილის წაკითხვა. დახატეთ ქაღალდზე ვარსკვლავები და დააწერეთ იდეები იმის შესახებ, როგორ შეგიძლიათ ანათებდეთ სხვებისთვის და გახდეთ იესო ქრისტეს მაგალითი (მაგ: "ეკლესიაში სიარული" ან "ოჯახში მიხმარება").

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *First Presidency Message, March 2015.* Georgian. 12588 131

იესო ქრისტეს თვისებები: მორჩილი და თავმდაბალი

ლოცვით შეისწავლეთ ეს მასალა და ეძიეთ გაიგოთ, რა უნდა გაუზიაროთ აქედან სხვებს. როგორ ზრდის მაცხოვრის როლისა და ცხოვრების გააზრება თქვენს რწმენას მასში და ლოცავს მათ, ვინც თქვენ გაბარიათ, სტუმრად მოსული მასწავლებლის როლში? დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი reliefsociety.lds.org..

რწმენა • ოჯახი • მოწყალება

ეს არის შინა მასწავლებლის გზავნილების სერიათა ნაწილი, რომელიც ასახავს მხსნელის თვისებებს.

იესომ თქვა: "თქვენს შორის უფროსი უმცროსივით იყოს, ხოლო ვინც უფროსობს – მსახურივით. ვინაიდან ვინ არის უფრო დიდი: მეინახე თუ მსახური? განა მეინახე არა? მე თქვენ შორის ვარ, როგორც მსახური" (ლუკა 22:26-27).

"მხსნელი არის მორჩილებისა და დამორჩილების ჩვენი უდიდესი მაგალითი. ბოლოს და ბოლოს, მისმა მამისადმი საკუთარი ნების დამორჩილებამ მოგვიტანა ყველაზე დიდი და ძლიერი მოვლენა მსოფლიოს ისტორიაში. ალბათ ყველაზე წმინდა სიტყვები ყველგან წმინდა წერილში მარტივია: "ჩემი ნება კი არა, შენი იყოს" (ლუკა 22:42)".[1]

ჩვენ, როგორც იესო ქრისტეს მოწაფენი, ყოველთვის ვეძიებთ, ვიყოთ მისი მსგავსნი. "თავმდაბლობა აუცილებელია იმისთვის, რომ დაემსგავსო ქრისტეს", – თქვა უხუცესმა ულისე სოარესმა სამოცდაათიანელთა ქვორუმიდან. მის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ სხვა მნიშვნელოვანი კეთილშობილი თვისებების განვითარებას. თავმდაბლობა სისუსტეს კი არა, არამედ კეთილ და კეთილშობილურ საქციელს ნიშნავს, სიმტკიცეს, სიმშვიდეს, ჯანსაღ თვითშეფასებასა და თვითკონტროლს".[2] როცა ვმუშაობთ ამ თვისების განვითარებაზე, ჩვენ აღმოვაჩენთ, რომ "მამისადმი საკუთარი ნების დამორჩილებას მოაქვს ღმერთის უფლებამოსილება – მორჩილების ძალა. ეს არის ცხოვრებისეული სირთულეების დასაძლევად საჭირო ძალა, სიმშვიდის ძალა, იმედის ძალა, მხსნელი იესო ქრისტეს მიმართ სიყვარულისა და მოწმობის გულის ცემის ძალა, გამოსყიდვის ძალაც კი".[3]

დამატებითი მასალები წმინდა წერილიდან

მათე 26:39; იოანე 5:30; მოსია 3:19; ჰელამანი 3:35

წმინდა წერილიდან

ქრისტეს მსახურების ერთ-ერთი ყველაზე ტკბილი და ძლიერი მომენტი იყო მისი მოწაფეებისთვის ფეხების დაბანა. "წამოდგა სერობიდან, გადაიძრო ზედა სამოსელი, აიღო ტილო და წელზე შემოირტყა. მერე ჩაასხა წყალი საბანელში და დაიწყო მოწაფეების ფერხთბანა და იმ ტილოთი შემშრალება, წელზე რომ ერტა" (იოანე 13:4-5).

როცა მხსნელმა წარმოადგინა ეს წეს-ჩვეულება, მოწაფეები, ალბათ, გაოგნებულები იყვნენ იმით, რომ მათმა უფალმა და მოძღვარმა მათ წინაშე მუხლი მოიყარა და ჩაატარა ასეთი მორჩილი მსახურება. იესომ შემდგომში ახსნა ეს გაკვეთილი, რომელიც სურდა, რომ მათ და ყოველ ჩვენგანს ესწავლა:

"ამიტომ, თუკი მე, უფალმა და მოძღვარმა, დაგბანეთ ფერხნი, თქვენც ერთმანეთს უნდა დაბანოთ ფერხნი.

"რადგან მაგალითი მოგეცით, რათა, როგორც მე მოგექეცით, თქვენც ისე მოიქცეთ" იოანე 13:14-15).

შენიშვნები

1. Richard C. Edgley, "The Empowerment of Humility," *Liahona,* Nov. 2003, 99.
2. Ulisses Soares, "Be Meek and Lowly of Heart," *Liahona,* Nov. 2013, 9.
3. Richard C. Edgley, "The Empowerment of Humility," 99.

განიხილეთ შემდეგი

როგორ დაგვეხმარება მორჩილება იმაში, რომ გვიყვარდეს ისე, როგორც მხსნელს უყვარდა?

© 2015 Intellectual Reserve, Inc. ყველა უფლება დაცულია. დაბეჭდილია გერმანიაში. ინგლისურად დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი დამტკიცებულია: 6/15. თარგმანი *Visiting Teaching Message, August 2015.* Georgian. 12588 131